გამოყენებითი ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიის პროგრამების ინდუსტიულ პარტნიორებთან წლიური საანგარიშო შეხვედრა

<u>3 ნოემბერს, 11.30 საათზე</u> ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება შეხვედრა გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის დარგში მოღვაწე ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. 2014 წლის 22 ოქტომბერს ხელი მოეწერა ურთიერთანამშორმლობის მემორანდუმს თსუ-სა და ბიომეცნიერებების დარგის განვითარებით დაინტერესებულ პარნტიორ ორგანიზაციებს შორის. აღნიშნულ თანამშრომლობას საფუძველი 2007-2013 წლებში ევროკავშირის „ტემპუსის“ პროგრამით განხორციელებული პროექტების ფარგლებში ჩაეყარა.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები წარდგებიან საანგარიშო მოხსენებით 2014-2015 წელს მიღწეული შედეგების შესახებ. გაიმართება პარტნიორთა დაჯილდოვება სამადლობელი სიგელით 2014-15 წელს თსუ-ს სასწავლო პროცესში შეტანილი წვლილისთვის და ახალი პარტნიორების მიერ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონიალი.

მემორანდუმის ფარგლებში ხელის მომწერი მხარეები თანხმდებიან კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყონ გამოყენებითი ბიომეცნიერებების დარგში უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე ახალი სასწავლო კურსების, მოდულების, პროგრამების შემუშავებას, დანერგვას, განხორციელებასა და პოპულარიზაციას; დასაქმების ბაზარზე სტუდენტების კონკურენტუნარიანობის გაზრდას, მათი პროფესიული კომპეტენციებისა და ცოდნის გაღრმავებას.

ღონისძიებას დაესწრებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების მინისტრი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ღონისძიების მიზანია საქართველოში ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიების დარგის განვითარების ხელშეწყობა, უნივერსიტეტსა და ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის გაღრმავება და თანამედროვე, ინოვაციური სასწავლო პროგრამების განხორციელება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით, მათ შორის კვების, ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და აგრობიოტექნოლოგიების მიმართულებით.

მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N1. თსუ I კორპუსი.
ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის სახელობის მცირე სამკითხველო დარბაზი